

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 17 მაისის 10 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 17 მაისის 10 სხდომაზე სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. მაია ყიფიანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის დადგენილება №1987.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 13 მაისის №12 სხდომის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვადა 2016 წლის 1-ლი ივნისი შეიცვალოს 2016 წლის 25 მაისით და ამ თარიღისთვის განხორციელდეს ამავე ფაკულტეტის რეორგანიზაცია;
2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დაყოფის გზით შეიქმნას სამი ახალი ფაკულტეტი:
 - 2.1. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;
 - 2.2. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
 - 2.3. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი.
3. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნას ახლადშექმნილ ფაკულტეტებზე შემდეგნაირად:
 - 3.1. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი**
 - სამართალმცოდნეობა – საბაკალავრო;
 - სამართალი – სამაგისტრო;
 - კრიმინალისტიკა – პროფესიული;
 - საერთაშორისო ურთიერთობები – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, საბაკალავრო (რუსულენოვანი);
 - სოციალური მეცნიერებები – სადოქტორო.
 - 3.2. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**
 - ევროპისმცოდნეობა – საბაკალავრო და სამაგისტრო;

- მასობრივი კომუნიკაცია – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო;
- ჟურნალისტიკა (რუსულენოვანი) – საბაკალავრო;
- საზოგადოებრივი ურთიერთობები – საბაკალავრო და სამაგისტრო;
- არქეოლოგია – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო;
- ეკონომიკა – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა .

3.3. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

- ბიზნესის ადმინისტრირება – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, საბაკალავრო (რუსულენოვანი), სამაგისტრო (ინგლისურენოვანი);
 - საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები – საბაკალავრო;
 - საბანკო პროცესის მართვა – სამაგისტრო;
 - ფინანსები – სადოქტორო;
 - საჯარო მმართველობა – საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, სამაგისტრო (რუსულენოვანი);
 - ელექტრონული ბიზნესის საინფორმაციო ტექნოლოგიები – სამაგისტრო.
4. 2016 წლის 1 ივნისამდე სტუ-ის რექტორმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მოვალეობის შემსრულებელმა უზრუნველყონ რეორგანიზაციისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
 5. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ფაკულტეტები ჩაითვალოს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართალმემკვიდრედ ამ დადგენილების მე-3 პუნქტის 3.3, 3.4 და 3.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამების ნაწილში;
 6. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ფაკულტეტებზე სტუდენტების გადაყვანა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
 7. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
 8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 17 მაისის 10 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 17 მაისის 10 სხდომაზე პროფ. ზაურ ჩიტაძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელი კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის დადგენილება №1990.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ გივი ბოკუჩავას და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 76%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 17 მაისის 10 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 17 მაისის 10 სხდომაზე პროფ. მერაბ ახოზაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრის –„ერთად“ ხელმძღვანელის მ. ახოზაძის სამსახურებრივი ბარათის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის დადგენილება №1993.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე „სტუდენტური სერვისცენტრის“ დებულებაში შევიდეს ცვლილება და მის №2 მუხლს დაემატოს 2.2. ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით: „განახორციელოს სხვადასხვა ტრენინგების მომზადება, ჩატარება და შესაბამისი სერტიფიკატების გაცემა“.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 17 მაისის 10 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 17 მაისის 10 სხდომაზე სტუ-ის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, კერძოდ: სამეცნიერო გრანტის თანადაფინანსების მოცულობაში, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტიდან 3 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში (პროექტის ხელმძღვანელი ია მოსაშვილი).

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე